საქართველოს კანონი

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის მე-13 მუხლის მე-14 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი დაექვემდებაროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.“

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ედუარდ შევარდნაძე
საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,
1996 წლის 15 მაისი.